ქალაქი. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზრირი, №61, (ს./კ. 01.16.05.003.069) ,,სავაჭრო გასართობი ცენტრი“-ს, სარეკონსტრუქციო შენობის ,,ფუძეების“ საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების მდგრადობის

საექსპერტო დასკვნა

კონსტრუქციული ნაწილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქალაქი. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზრირი, №61, (ს./კ. 01.16.05.003.069) ,,სავაჭრო გასართობი ცენტრი“-ს, სარეკონსტრუქციო შენობის ,,ფუძეების“ საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების მდგრადობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების მიხედვით, საძირკვლის ფუძედ მიღებულია ძირითადი ქანები -ხვინჭა 30-35%, და კენჭნარი 20-25%, 12-15% კაჭარის ჩანართებით, 22-25% ქვიშის შემავსებლით. პირობითი საანგარიშო წინაღობა წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_0=4.5 კგძ/სმ^2. გრუნტის სხვა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები იხილეთ პროექტის გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში. ქარის დაწნევის ნორმატიული მნიშვნელობაა-70კგძ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა-50კგძ/მ^2.

საპროექტო შენობა გეგმაში რთული კონფიგურაციისაა, შენობა ხუთ სართულიანია, გააჩნია სარდაფის სართული.

ნაგებობის კონსტრუქციულ სისტემად ორივე მიმართულებით მიღებული რ.ბ. მონოლითური ჩარჩოები, მონოლითური სართულშუა, სასხვენო გადახურვებითა და წვრილი ბლოკების წყობის კედლებით.

საძირკვლის ტიპად წარმოდგენილია, მონოლითური რკინაბეტონის წერტილოვანი საძირკველი, ზომები გეგმაში 3375x1200 მმ; სიმაღლით 50 სმ. რომლებიც ერთმანეთთან

დაკავშირებულია რანდკოჭებით. განივკვეთით 30x50 სმ; ბეტონის კლასით B25. საძირკველი ჩაღრმავების მიხედვით განლაგებულია ერთ დონეზე.

სვეტები, ლითონის კონსტრუქცია, შედგენილი კვეთით.

რიგელები, ლითონის კონსტრუქცია, შედგენილი კვეთით.

გადახურვა, 12 მეტრიანი ლითონის ფერმები.

სართულების დასაკავშირებლად მოწყობილია ექსკალატორი.

გადახურვის ფილა, მონოლითური რკინაბეტონის 12 სმ. სისქის. ბეტონის კლასით B25.

კიბეები, ლითონის კონსტრუქციები.

სახურავის გადახურვა, შერეული, ლითონისა და ხის კონსტრუქციები.

ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა ქალაქი. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზრირი, №61, (ს./კ. 01.16.05.003.069) ,,სავაჭრო გასართობი ცენტრი“-ს, სარეკონსტრუქციო შენობის ,,ფუძეების“ საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების მდგრადობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის კომპიუტერული გაანგარიშება, სტატიკურ, დინამიკურ და სეისმურ (8 ბალ) დატვირთვებზე.

ფუძე-საძირკვლებისა და შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემის გაანგარიშება შესრულებულია კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის ,, LIRA SAPR 2000-ის გამოყენებით. რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს გადაადგილებებში და მათში გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები СНиП 2,01,07-85*(СП 20.13330.2011) - დატვირთვები და ზემოქმედებები, СНиП 2,03,01-84*- ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები, СНиП II-7-81* - მშენებლობა სეისმურ რაიონებში,
СНиП II-23-81* - ლითონის კონსტრუქციები.

გაანგარიშებების შედეგად მიღებული მონაცემები შესაბამისობაშია კორექტირებული პროექტით მიღებულ მონაცემებთან.

პროექტში ვრცლად არის დაცული საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები. (ყოფილი მშენებლობის სამინისტროს ბრძანება № 3/26, 05. 2002 წ. და 2006 წ. 24. 02 დადგენილება №45). კერძოდ; 1). სნ - წ - 2.02.01. – 83* ,,შენობებისა და ნაგებობების საძირკვლები“. 2). სნ - წ - 2.01.07. – 85 ,,დატვირთვები და ზემოქმედებანი“. 3). სნ - წ - II –

7 – 81 ,,მშენებლობა სეისმურ რაიონებში“. 4). სნ. - წ - 2.03.01. – 84 ,,ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“. 5). სნ. - წ - II – 28 – 73* და სნ. - წ - 2.03.11.85 ,,სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან.“ 6). სნ. - წ - II – 2 – 80 ,,შენობებისა და ნაგებობის პროექტირებისას ხანძარ საწინააღმდეგო ნორმები.

დასკვნა: ამრიგად, ქალაქი. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზრირი, №61, (ს./კ. 01.16.05.003.069) ,,სავაჭრო გასართობი ცენტრი“-ს, სარეკონსტრუქციო შენობის ,,ფუძეების“ საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების მდგრადობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია კარგ დონეზე, საქართველოში არსებული სამშენებლო ნორმების დაცვით და ეძლევა დადებითი შეფასება.

დამოუკ. ექსპერტი,
საინჟ. მეცნ. დოქტორი: **ჯ. ვაშაკიძე**
მობ. 593 28 34 58 **02.04.2024**